

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

ბრძანება №01-58/ნ
2015 წლის 22 დეკემბერი

ქ. თბილისი

საჯარიმო ქვითრის ფორმის, მისი შევსებისა და წარდგენის წესის დამტკიცების შესახებ

„შრომითი მიგრაციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტების, „მკაცრი აღრიცხვის ფორმების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს:

- ა) საჯარიმო ქვითრის ფორმები (დანართი №1);
- ბ) საჯარიმო ქვითრის შევსებისა და წარდგენის წესი (დანართი №2);
- გ) საჯარიმო ქვითრის აღრიცხვის ჟურნალი (დანართი №3);
- დ) გამოსაყენებლად უვარგისი საჯარიმო ქვითრის ჩამოწერის აქტი (დანართი №4);
- ე) სააღსრულებო ფურცელის ფორმა (დანართი №5).

2. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულმა სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტომ უზრუნველყოს ამ ბრძანებით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3. ეს ბრძანება, გარდა მე-2 პუნქტისა, ამოქმედდეს 2016 წლის 1 მაისიდან. ბრძანების მე-2 პუნქტი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური
დაცვის მინისტრი

დავით სერგენკო



საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2017 წლის 24 თებერვლის ბრძანება №01-10/ნ - ვებგვერდი, 24.02.2017წ.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2017 წლის 5 აპრილის ბრძანება №01-16/ნ - ვებგვერდი, 05.04.2017წ.

ფორმა 1.1

საჯარიმო ქვითარი
(„შრომითი მიგრაციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევისთვის)

ნაწილი I. საჯარიმო ქვითარი
ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი №000000

1. _____ 2. _____
შედგენის თარიღი (რიცხვი, თვე, წელი) შედგენის ადგილი
3. _____
შემდგენლის თანამდებობა, სახელი და გვარი
4. სამართალდამრღვევის: ა) _____ ბ) _____
სახელი, გვარი / იურიდიული პირის შემთხვევაში - დასახელება პირადი № / იურიდიული პირის შემთხვევაში - საიდენტიფიკაციო ნომერი
- ბ) _____
მისამართი
5. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის ადგილი, დრო და არსი: _____

6. დარღვეულია „შრომითი მიგრაციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის _____ პუნქტი.
7. ჯარიმის ოდენობა: _____ ლარი.
სიტყვიერად
8. დამრღვევის ახსნა-განმარტება (არსებობის შემთხვევაში): _____

9. დოკუმენტები, რომლებიც თან ერთვის საჯარიმო ქვითარს – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმს: _____

- საქმის გადასაწყვეტად საჭირო ცნობები, მასალები და ა.შ., დამრღვევის ახსნა-განმარტება ან მის მიერ წარმოდგენილი სხვა მასალები
10. შენიშვნა: _____

11. სამართალდამრღვევი პირის ხელმოწერა (ხელმოწერაზე ან/და ქვითრის ჩაბარებაზე უარის აღნიშვნა): _____
12. შემდგენლის ხელმოწერა: _____
ბ. ა.

ნაწილი II. საჯარიმო ქვითრის ყუა
№000000
ეს ნაწილი რჩება საბანკო დაწესებულებაში

1. გადამხდელის სახელი, გვარი: _____
2. გადამხდელის მისამართი: _____
3. „შრომითი მიგრაციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის _____ პუნქტი
4. ჯარიმის ოდენობა: _____
(სიტყვიერად და ციფრებით)
5. საბანკო კოდი: _____
6. სახაზინო კოდი: _____
7. მიმღები მოლარე: _____

(ხელმოწერა)

8. შემომტანი: _____

(ხელმოწერა)

ბ.ა.

თარიღი: _____

(რიცხვი, თვე, წელი)

საჯარიმო ქვითრის ყუა ივსება საბანკო დაწესებულების ან საჯარიმო თანხის შემომტანის მიერ.

საჯარიმო ქვითრის I ნაწილის მეორე გვერდი

საჯარიმო ქვითრის შედგენისას დამრღვევს განემარტა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 252-ე მუხლით გათვალისწინებული მისი უფლებები და მოვალეობები.

ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემულ პირს უფლება აქვს გაეცნოს საქმის მასალებს, მისცეს ახსნა-განმარტებანი, წარადგინოს მტკიცებულებანი, განაცხადოს შუამდგომლობანი; საქმის განხილვისას ისარგებლოს ადვოკატის იურიდიული დახმარებით; გამოვიდეს მშობლიურ ენაზე; თუ არ იცის მიმდინარე წარმოების ენა, ისარგებლოს თარჯიმნის მომსახურებით; გაასაჩივროს საქმის გამო მიღებული დადგენილება (გადაწყვეტილება).

ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემულ პირს განემარტება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 273-ე მუხლით გათვალისწინებული უფლებებისა და სამართალდარღვევის საქმეზე მიღებული დადგენილების გასაჩივრების 10-დღიანი (ათდღიანი) ვადის შესახებ.

დამრღვევმა ჯარიმა უნდა გადაიხადოს საჯარიმო ქვითრის ჩაბარებიდან 30 (ოცდაათი) დღის ვადაში. აღნიშნულ ვადაში ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში დაჯარიმების შესახებ გადაწყვეტილება იძულებით აღსრულდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში.

დანართი №1

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2017 წლის 24 თებერვლის ბრძანება №01-10/5 - ვებგვერდი, 24.02.2017წ.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2017 წლის 5 აპრილის ბრძანება №01-16/5 - ვებგვერდი, 05.04.2017წ.

ფორმა 1.2

საჯარიმო ქვითარი

(„შრომითი მიგრაციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევისთვის)

ნაწილი I. საჯარიმო ქვითარი

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი №000000

1. _____ 2. _____
შედგენის თარიღი (რიცხვი, თვე, წელი) შედგენის ადგილი
3. _____
შემდგენლის თანამდებობა, სახელი და გვარი
4. სამართალდამრღვევის: ა) _____ ბ) _____
სახელი, გვარი / იურიდიული პირის შემთხვევაში - დასახელება პირადი № / იურიდიული პირის შემთხვევაში - საიდენტიფიკაციო ნომერი
- გ) _____
მისამართი
5. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის ადგილი, დრო და არსი: _____

6. დარღვეულია „შრომითი მიგრაციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის ____ პუნქტი.

7. ჯარიმის ოდენობა: _____ ლარი.

სიტყვიერად

8. დამრღვევის ახსნა-განმარტება (არსებობის შემთხვევაში): _____

9. დოკუმენტები, რომლებიც თან ერთვის საჯარიმო ქვითარს – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმს:

საქმის გადასაწყვეტად საჭირო ცნობები, მასალები და ა.შ., დამრღვევის ახსნა-განმარტება ან მის მიერ წარმოდგენილი სხვა მასალები

10. შენიშვნა: _____

11. სამართალდამრღვევი პირის ხელმოწერა (ხელმოწერაზე ან/და ქვითრის ჩაბარებაზე უარის აღნიშვნა): _____

12. შემდგენლის ხელმოწერა: _____

ბ. ა.

**ნაწილი II. საჯარიმო ქვითრის ყუა
№000000
ეს ნაწილი რჩება საბანკო დაწესებულებაში**

1. გადამხდელის სახელი, გვარი: _____

2. გადამხდელის მისამართი: _____

3. „შრომითი მიგრაციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის ____ პუნქტი

4. ჯარიმის ოდენობა: _____

(სიტყვიერად და ციფრებით)

5. საბანკო კოდი: _____

6. სახაზინო კოდი: _____

7. მიმღები მოლარე: _____

(ხელმოწერა)

8. შემომტანი: _____

(ხელმოწერა)

ბ.ა.

თარიღი: _____

(რიცხვი, თვე, წელი)

საჯარიმო ქვითრის ყუა ივსება საბანკო დაწესებულების ან საჯარიმო თანხის შემომტანის მიერ.

საჯარიმო ქვითრის I ნაწილის მეორე გვერდი

საჯარიმო ქვითრის შედგენისას დამრღვევს განემარტა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 252-ე მუხლით გათვალისწინებული მისი უფლებები და მოვალეობები.

ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემულ პირს უფლება აქვს გაეცნოს საქმის მასალებს, მისცეს ახსნა-განმარტებანი, წარადგინოს მტკიცებულებანი, განაცხადოს შუამდგომლობანი; საქმის განხილვისას ისარგებლოს ადვოკატის იურიდიული დახმარებით; გამოვიდეს მშობლიურ ენაზე; თუ არ იცის მიმდინარე წარმოების ენა, ისარგებლოს თარჯიმნის მომსახურებით; გაასაჩივროს საქმის გამო მიღებული დადგენილება (გადაწყვეტილება).

ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემულ პირს განემარტება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 273-ე მუხლით გათვალისწინებული

უფლებებისა და სამართალდარღვევის საქმეზე მიღებული დადგენილების გასაჩივრების 10-დღიანი (ათდღიანი) ვადის შესახებ.

დამრღვევმა ჯარიმა უნდა გადაიხადოს საჯარიმო ქვითრის ჩაბარებიდან 30 (ოცდაათი) დღის ვადაში. აღნიშნულ ვადაში ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში დაჯარიმების შესახებ გადაწყვეტილება იძულებით აღსრულდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში.

დანართი №2

საჯარიმო ქვითრის შევსებისა და წარდგენის წესი

მუხლი 1

ეს წესი განსაზღვრავს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სოციალური მომსახურების სააგენტოს (შემდგომში – სააგენტო) მიერ საჯარიმო ქვითრის ფორმის (მკაცრი აღრიცხვის ფორმა) შევსების, წარდგენისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესს, „მკაცრი აღრიცხვის ფორმების შესახებ“ საქართველოს კანონის, ამ წესისა და სხვა კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შესაბამისად.

მუხლი 2

1. საჯარიმო ქვითარი ივსება „შრომით მიგრაციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 და მე-16 მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე სააგენტოს უფლებამოსილი პირის მიერ.

2. უფლებამოსილი პირი „შრომით მიგრაციის შესახებ“ კანონის მე-15 მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის საქმეს ადგილზე განიხილავს და დამრღვევს ადგილზე შეუფარდებს ადმინისტრაციულ სახდელს.

3. უფლებამოსილი პირი „შრომითი მიგრაციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეს განიხილავს და დამრღვევს უფარდებს ადმინისტრაციულ სახდელს მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესით.

4. საჯარიმო ქვითარი იმავდროულად წარმოადგენს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმს.

მუხლი 3

1. უფლებამოსილი პირის მიერ საჯარიმო ქვითარის ადგილზე შევსებისას, საჯარიმო ქვითარი ივსება, მიუხედავად იმისა, დამრღვევი ეთანხმება თუ არა საჯარიმო ქვითრის შინაარსსა და მის მიმართ გამოყენებულ პასუხისმგებლობის ზომას.

2. საჯარიმო ქვითარი შედგება 4 (ოთხი) ეგზემპლარად.

3. იმ შემთხვევაში, როდესაც სამართალდამრღვევი ადგილზე არ იმყოფება, მას საჯარიმო ქვითრის მეორე ეგზემპლარი ეგზავნება ფოსტით.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2017 წლის 21 აპრილის ბრძანება №01-20/ნ - ვებგვერდი, 21.04.2017წ.

მუხლი 4

1. საჯარიმო ქვითრის შევსებისას აღინიშნება:

ა) შედგენის თარიღი და ადგილი (რიცხვი, თვე, წელი);

ბ) შემდგენის თანამდებობა, სახელი და გვარი;

გ) მონაცემები სამართალდამრღვევის შესახებ;

- დ) ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის ადგილი, დრო და არსი;
- ე) „შრომითი მიგრაციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 ან მე-16 მუხლებით გათვალისწინებული ნორმა;
- ვ) დამრღვევის ახსნა-განმარტება, ასეთის არსებობის შემთხვევაში;
- ზ) მონაცემები იმ დოკუმენტების თაობაზე, რომელიც თან ერთვის საჯარიმო ქვითარს და/ან საქმის გადასაწყვეტად საჭირო სხვა ცნობები;
- თ) შენიშვნა, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

2. საჯარიმო ქვითარი შედგება ორი ნაწილისაგან:

- ა) ნაწილი I – საჯარიმო ქვითარი;
- ბ) ნაწილი II – საჯარიმო ქვითრის ყუა.

3. საჯარიმო ქვითარზე დაისმევა სააგენტოს ბეჭედი, რომელიც უნდა ფარავდეს საჯარიმო ქვითრის ორივე ნაწილს. დანარჩენ ადგილ(ებ)ზე ბეჭედი დაისმება საბანკო დაწესებულების მიერ.

4. საჯარიმო ქვითარი ივსება ლურჯი ან შავი ბურთულიანი კალმით. ყველა ჩანაწერი კეთდება გარკვევით. დაუშვებელია გადახაზვა, გადაფხეკა, გადაშლა და ა.შ. საჯარიმო ქვითრის დაზიანების ან მასში არასწორი მონაცემების შეტანის შემთხვევაში ივსება ახალი. დაზიანებული ან არასწორად შევსებული საჯარიმო ქვითარი ჩამოიწერება დადგენილი წესით (დანართი №4)

5. დამრღვევს უნდა განემარტოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 252-ე მუხლით გათვალისწინებული მისი უფლებები და მოვალეობანი, რაც აღინიშნება საჯარიმო ქვითარში.

6. საჯარიმო ქვითარს ხელს აწერს მისი შემდგენი და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენი. თუ არიან მოწმეები, საჯარიმო ქვითარს შეიძლება ხელი მოაწერონ ამ პირებმაც.

7. თუ დამრღვევი უარს ამბობს ხელმოწერაზე, ამის შესახებ კეთდება შესაბამისი ჩანაწერი. სამართალდამრღვევი პირი უფლებამოსილია წარადგინოს საჯარიმო ქვითარზე თანდასართავად ახსნა-განმარტებები და შენიშვნები საჯარიმო ქვითრის შინაარსთან დაკავშირებით, ასევე, ახსნას ხელმოწერაზე უარის თქმის მოტივები.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2017 წლის 24 თებერვლის ბრძანება №01-10/ნ - ვებგვერდი, 24.02.2017წ.

მუხლი 5

1. საჯარიმო ქვითრის ფორმის დამზადების ორგანიზებას სააგენტო ახორციელებს დამოუკიდებლად, „მკაცრი აღრიცხვის ფორმების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, კანონმდებლობის შესაბამისად შერჩეულ პოლიგრაფიულ საწარმოში.

2. მკაცრი აღრიცხვის ფორმა, მისი დაცვის სირთულეთა გათვალისწინებით მიეკუთვნება მკაცრის აღრიცხვის ფორმის მესამე კატეგორიას („მარტივი ტიპი“).

3. პოლიგრაფიული საწარმოდან საჯარიმო ქვითრის ფორმის გამოტანის უფლება აქვს პირს, რომელსაც გააჩნია შესაბამისი მინდობილობა.

4. სააგენტოს მიერ საჯარიმო ქვითრის ფორმის გაცემა აღრიცხება საჯარიმო ქვითრის აღრიცხვის ჟურნალში, რომლის ფორმას და გამოყენების პირობებს ადგენს სააგენტო.

5. საჯარიმო ქვითრის ფორმის შენახვა ხორციელდება „მკაცრი აღრიცხვის ფორმების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

6. საჯარიმო ქვითრის ფორმა უნდა ინახებოდეს სათანადოდ დაცულ ადგილას, ხელშეუხებელი უნდა იყოს გარეშე პირთათვის და დაცული დაზიანებისაგან.

7. საჯარიმო ქვითრის ფორმები ინახება მათ გამოყენებასა და აღრიცხვა-ანგარიშგებაზე პასუხისმგებელ პირთან.

8. სააგენტო საჯარიმო ქვითრების ფორმებს გასცემს შესაბამის უფლებამოსილ პირებზე.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2017 წლის 24 თებერვლის ბრძანება №01-10/5 - ვებგვერდი, 24.02.2017წ.

მუხლი 6 (ამოღებულია)

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2017 წლის 24 თებერვლის ბრძანება №01-10/5 - ვებგვერდი, 24.02.2017წ.

მუხლი 7

1. საჯარიმო ქვითრები გამოსაყენებლად უვარგისად ჩაითვლება:

- ა) შევსების დროს დაშვებული შეცდომების გამო;
- ბ) საჯარიმო ქვითრის ფიზიკური დაზიანების გამო.

2. გამოსაყენებლად უვარგისი საჯარიმო ქვითარი ჩამოიწერება გამოსაყენებლად უვარგისი საჯარიმო ქვითრის ჩამოწერის აქტის შესაბამისად, რომლის ფორმაც დამტკიცებულია №4 დანართით.

3. გამოსაყენებლად უვარისი საჯარიმო ქვითრების უტილიზაცია ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 8

1. სამართალდამრღვევს, საჯარიმო ქვითრის გასაჩივრება შეუძლია შევსებიდან 10 დღის ვადაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2. სამართალდამრღვევმა ჯარიმა უნდა გადაიხადოს საჯარიმო ქვითრის მისთვის ჩაბარებიდან 30 დღეში.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილ ვადაში ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში, სააგენტოს წარმომადგენლის მიერ გამოიწერება სააღსრულებო ფურცელი (დანართი №5), რომელიც დაუყოვნებლივ ეგზავნება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – აღსრულების ეროვნულ ბიუროს.

დანართი №3 (ამოღებულია)

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2017 წლის 24 თებერვლის ბრძანება №01-10/5 - ვებგვერდი, 24.02.2017წ.

დანართი №4

გამოსაყენებლად უვარგისი საჯარიმო ქვითრის ჩამოწერის

აქტი

“-----” “-----”

-----” წელი

№	საჯარიმო ქვითრის ექსკლუზიური ნომერი	საჯარიმო ქვითრის ჩამოწერის მიზეზი
1		
2		

3		
4		
5		

ხელმოწერით ვადასტურებთ აქტის მიხედვით წარმოდგენილი უვარგისი საჯარიმო ქვითრების ჩამოწერის სისწორეს.

ხელმძღვანელი:

/-----/

საჯარიმო ქვითრების გამოყენებასა და აღრიცხვა- ანგარიშგებაზე

პასუხსმგებელი პირი: /-----/

დანართი №5



საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი _

სოციალური მომსახურების სააგენტო

ს ა ა ლ რ უ ლ ე ბ ო ფ უ რ ც ე ლ ი

საალსრულებო ფურცლის გამცემი

უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი

მიერ

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე № _____

გამოტანილ იქნა

დადგენილება ადმინისტრაციული სახდელის დაკისრების შესახებ

№ _____

დადგენილების ნომერი

დადგენილების გამოტანის თარიღი

კანონიერ ძალაში შესვლის თარიღი

დადგენილების სარეზოლუციო ნაწილის შინაარსი:

_____ დაედო

სამართალდამრღვევის სახელი, გვარი

ადმინისტრაციული სახდელი გათვალისწინებული ადმინისტრაციულ
სამართალდარღვევათა კოდექსის _____ შესაბამისად და

მუხლი, მუხლის ნაწილი

დაეკისრა ადმინისტრაციული სახდელი

ჯარიმა _____ (_____) ლარის ოდენობით;

ციფრებით

სიტყვიერად

კრედიტორის დასახელება და რეკვიზიტები:

სახელმწიფო ბიუჯეტი:

ერთიანი ანგარიში № _____

სახელმწიფო ხაზინა № _____

სახაზინო კოდი № _____

მოვალის დასახელება და რეკვიზიტები:

მისამართი: _____

პირადი ან/და საიდენტიფიკაციო

№ _____

სხვა რეკვიზიტები:

სააღსრულებო ფურცლის გაცემის თარიღი: _____ წ.

სოციალური მომსახურების სააგენტოს უფლებამოსილი პირი:

ხელმოწერა